ოქმი:**ო03. 3722356001**

თარიღი:**22/12/2022**

ოქმი № 24

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2022 წელი, 20 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

14.00 -15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ს. ქარცივაძე, მ. ვაშალომიძე, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ვეტერანთა წერილის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

მომხსენებელმა გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტზე, აღნიშნა, რომ მასში გათვალისწინებულია კომისიის ოთხივე შენიშვნა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც, ბიუჯეტი გაზრდილია 831 ათასი ლარით, ამდენად მიზანშეწონილია კომისიამ მხარი დაუჭიროს მის წარდგენას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით. ამ წინადადებას კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა განაცხადა, რომ ფეხბურთის ვეტერანები და გულშემატკივრები საფეხბურთო ტურნირის გასამართავად ითხოვენ დაფინანსებას, მუნიციპალიტეტის მერია მხარს უჭერს ამ წინადადებას, კომისიის წევრებმაც მხარი დაუჭირეს ტურნირის დაფინანსებას.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილებების ოთხი პროექტი, კომისიის წევრებმა კენჭისყრით დაუჭირეს მხარი მათი საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის დღის წესრიგში შეტანილი N1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვა-დამტკიცების, ხოლო N4 ,5 ,6 ,7 საკითხები -განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

2. საფეხბურთო ტურნირის დაფინანსების თაობაზე კომისიის თანხმობის შესახებ ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერიას.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი